17

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 47/00 „ 2 " ივნისი 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "
თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
ნინო ჩადუნელი
„ 02 " 06 2010 წელი

ეგზ. N2

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტის შესახებ

აქტი

შინაარსი/საძიებელი

ნაწილი I. შესავალი

ნაწილი II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96

ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

ნაწილი III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

ნაწილი IV. აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ნაწილი 1. შესავალი

აუდიტის ფორმა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტი.
აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 თებერვლის N7/43 ბრძანება.
აუდიტის ობიექტის დასახელება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს იურიდიული მისამართი 0110, ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქუჩა N32. (995 32) 931262.
აუდიტის ჯგუფი: აუდიტორები ენვერ დოლიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და თენგიზ გურასაშვილი.
აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.
აუდიტის პერიოდი: 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.
აუდიტის ვადა: აუდიტი დაიწყო 2010 წლის 25 თებერვალს და დამთავრდა 2010 წლის 7 აპრილს.
აუდიტის მეთოდი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

შემოკლებანი:
1.კონტროლის პალატა – საქართველოს კონტროლის პალატა;
2.ფინანსთა სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ნაწილი II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

"საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 30.12.08 წლის N945 - რს საქართველოს კანონით, უზენაეს სასამართლოს დაფინანსება განესაზღვრა 5835,0 ათასი ლარით. აქედან, უზენაესი სასამართლოსათვის გათვალისწინებული ასიგნება შეადგენდა 5385,0 ათას ლარს, ხოლო "სასამართლო ხელისუფლების მხარდამჭერი" პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხა - 450,0 ათას ლარს (300,0 ათასი ლარი ბიუჯეტის თანადაფინანსების თანხა, 150,0 ათასი ლარი გაეროს - UNDP-ის დაფინანსება). 2009 წლის 4 დეკემბრის N229–II-ს ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით გაეროს დაფინანსების თანხა გაიზარდა 80,0 ათასი

ლარით და დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 5915,0 ათასი ლარი. ამ ასიგნების ფარგლებში საბიუჯეტო წლის მანძილზე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შიდა მუხლობრივი გადანაწილება განხორციელებულია ოთხ შემთხვევაში, რაზედაც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და სახაზინო სამსახურის ცნობები ხარჯთაღრიცხვის ცვლილებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. განხორციელებული ცვლილებებით შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდა 60,5 ათასი ლარით, სოცუზრუნველყოფის მუხლი- 12,0 ათასი ლარით. შესაბამისად გაიზარდა სხვა ხარჯების მუხლი 5,5 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 67,0 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ცნობების გათვალისწინებით უზენაეს სასამართლოს 2009 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა ასეთი სახე მიიღო:

ათასი ლარი

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება		დაზუსტებული გეგმა
		გაზრდა	შემცირება	
ხარჯები:	5191,0	5,5	72,5	5124,0
შრომის ანაზღაურება	3824,0		60,5	3763,5
საქონელი და მომსახურება	1297,5			1297,5
სოც. უზრუნველყოფა	45,0		12,0	33,0
სხვა ხარჯები	24,5	5,5		30,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	194,0	67,0		261,0
გაეროს განვითარების პროგრამა	450,0	80,0		530
სულ	5835,0			5915,5

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

უზენაესი სასამართლოსთვის (08 00) 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების შედეგად დაზუსტებული ასიგნებებისა (5915,0 ათასი ლარი) და აღებული ვალდებულებების (6003,1 ათასი ლარი) ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 5987,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 5165,3 ათასი ლარი.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასამართლოს ასიგნებებში („სხვა ხარჯების“ მუხლით)

ორგანიზაციული კოდის (08 02) მიხედვით გათვალისწინებულია „სასამართლო ხელისუფლების მხარდამჭერის“ პროექტის დაფინანსება 530,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 300,0 ათასი ლარი წარმოადგენს პროექტის თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებულ ასიგნებებს, ხოლო 230,0 ათასი ლარი - „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს“ (UNDP) და სხვა დონორების თანხას. პროექტს ახორციელებს და სრულად განკარგავს გაერო (UNDP), მათ შორის საქართველოს მხარის წილის თანხებს.

აღნიშნული პროექტის პარამეტრების შესაბამისი პერიოდის შესრულების ანგარიშგებაში „კრედიტები და გრანტების“ თანხების ასახვისას, სახაზინო სამსახური ეყრდნობა ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ მიწოდებულ პარამეტრებს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა UNDP-ის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ხოლო „საბიუჯეტო სახსრების“ შესრულებაში აისახება UNDP-ის პროექტში საქართველოს თანამონაწილეობისათვის სახაზინო სამსახურიდან გადარიცხული თანხები.

UNDP-დან და სახაზინო სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით 2009 წლის ბიუჯეტის (ორგანიზაციული კოდი 080201 - სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა) საკასო შესრულებამ შეადგინა 623,0 ათასი ლარი (მათ შორის: საქართველოს თანამონაწილეობისათვის ბიუჯეტიდან გადარიცხული 300.0 ათასი ლარი და UNDP-ის სხვა რესურსებიდან პროექტზე ფაქტიურად დახარჯული 323.0 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ ვინაიდან საგრანტო თანხების ხარჯვაზე სახაზინო სამსახურში დონორის მიერ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება დაგვიანებით, გრანტის ნაწილში საკასო ხარჯი გაწეულია დაზუსტებულ გეგმასთან(230,0ათასი ლარი) შედარებით 92,9 ათასი ლარით მეტი. ამასთან, სასამართლოსადმი პროექტის შემსრულებლის მიერ როგორც საგრანტო, ასევე პროექტის ფარგლებში თანადაფინანსების თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა არ წარმოებს.

მიუხედავად სასამართლოს მიერ წერილობითი მიმართვისა, როგორც UNDP-ის პროექტის კოორდინატორის, ასევე სახაზინო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიმართ, რათა მოეწოდებინათ განხორციელებული დაფინანსებისა და გაწეული ხარჯების შესახებ დოკუმენტები ან დამოწმებული ასლები, აღნიშნულ მიმართვას შედეგი არ მოყოლია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მმართველობის სფეროში ბიუჯეტით გათვალისწინებულია პროგრამა, რომელზედაც სასამართლო კონტროლს ვერ ახორციელებს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით გადასახდელების შესრულების მდგომარეობა 2009 წელს წარმოდგენილია ცხრილის სახით. (ათას ლარებში)

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დაზუსტებული გეგმით	გადახდა(საკასო ხარჯი)	ფაქტ-ვი ხარჯი	სხვაობა (4-3)	შესრულება %-ში (3/2)
1	2	3	4	5	6
სულ ხარჯები:	**5654,0**	**5729,4**	**5165,3**	**-564,1**	**101,3**

შრომის ანაზღაურება	3763,5	3747,8	3747,8	0	99,6
საქონელი და მომსახურება	1297,5	1295,7	1356,6	60,9	99,9
სოც.უზრუნველყოფა	33,0	33,0	33,0	0	100
სხვა ხარჯები	560,0	652,9	27,9	-625	116,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	**261,0**	**257,9**	**0**	**0**	**98,8**
სულ	**5915,0**	**5987,3**	**5165,3**	**-564,1**	**101,2**

საკასო ხარჯში ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდა 257,9 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება, ვინაიდან არაფინანსური აქტივების შეძენა ხარჯს არ წარმოადგენს და კაპიტალის წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს.

„სხვა ხარჯების" მუხლში სხვაობა (საკასო ხარჯის გადაჭარბებით შესრულება) დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ პროექტთან, რომელიც განპირობებულია დებიტორი ორგანიზაციის მიერ ვალდებულებების საანგარიშო პერიოდში შესრულებით.

„საქონელი და მომსახურების" მუხლში ფაქტობრივ და საკასო შესრულებას შორის სხვაობა გამოწვეულია „ოფისის ხარჯების" ქვემუხლით მიმდინარე პერიოდში საქონლის ექსპლუატაციაში გადაცემით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2009 წელს ფაქტობრივად გაწეულმა ზოგიერთი სახის დანახარჯმა შეადგინა 4145,0 ათასი ლარი. აქედან:

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 3791.3 ათასი ლარი. მათ შორის: შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 43.5 ათასი ლარი, ხოლო საშტატო განაკვეთით 3747,8 ათასი ლარი. საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 2831.6 ათას ლარს, პრემია, დახმარება, კომპენსაცია 675,3 ათას ლარს (ხელფასის 23.8%), დანამატი 284,5 ათასი ლარი.

სამსახურებრივი ავტომობილების მომსახურეობაზე გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 178.2 ათასი ლარი. მათ შორის საწვავის ხარჯმა 122.7 ათასი ლარი (68,9%), რემონტისა და საპოხი მასალების ხარჯმა კი 55,5 ათასი ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯებმა შეადგინა 74.2 ათასი ლარი. აქედან მობილური ტელეფონით სარგებლობის ხარჯებმა 37,8 ათასი ლარი (50.9), სხვა სატელეფონო კავშირის ხარჯებმა კი 36,4 ათასი ლარი.

მივლინების ხარჯმა შეადგინა 77,2 ათასი ლარი.

სამედიცინო დაზღვევის ხარჯებმა შეადგინა 24,1 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით საკასო შესრულებამ მთლიან ხარჯებთან მიმართებით შემდეგი სახე მიიღო:



2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება).

2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებანი და შეფასება.

2009 წლის მანძილზე ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შედეგად 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უზენაესი სასამართლოს კაპიტალი შეადგენდა 4363,1 ათას ლარს.

ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - **წმინდა ღირებულება**	**შენიშვნა**	**3901,4**
ზრდა		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1	5987,3
სხვა შემოსავლები	3	3,3
სულ:		
შემცირება		**5990,6**
ხარჯები	1	5525,6
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადიაქტივები	2	0
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3	3,3
სულ:		**5528,9**
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში		**461.7**
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - წმინდა ღირებულება		**4363,1**
სულ კაპიტალი		**4363,1**

შენიშვნა 1

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა და ფაქტობრივი ხარჯის მდგომარეობა განხილულია 1.2. საკითხში.

შენიშვნა 2

არაფინანსური აქტივების მოძრაობა 2009 წლის განმავლობაში

ათას ლარებში

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენ//ნაგებ-ბი	სატრან. საშ-ბი	სხვა მანქ/დან და ინვ-რი	მატ. მარ-ები	სულ
ნაშთი 01.01.09წ.	1390,2	514,3	809,2	118,4	2832,1
მიღება:					
შესყიდვა	36,6	118,8	104,9	251,3	511,6
გასვლა:					0.0
ძირ.კაპ-ის მოხმარება		224,7	135,6		360,3
საქ.და მომსახ-ბით				314,6	314,6
ნაშთი 01.01.2010წ.	1426,8	408,4	778,5	55,1	2668,8

შენიშვნა 3

წმინდა ღირებულების ზრდა და შემცირება - სხვა შემოსავლების სახით(სატენდერო მოსაკრებლისა და ქსეროასლების გადაღებიდან) მიღებული თანხა შეადგენს 3,3 ათას ლარს, რომელიც შეტანილია ბიუჯეტში.

უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ბალანსისა და დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაციის თანახმად 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა 1 098,3 ათასი ლარის დებიტორული და 29,0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. საანგარიშო პერიოდში კრედიტორული დავალიანება არ შეცვლილა (29,0 ათასი ლარის დავალიანება მომდინარეობს სხვადასხვა მომწოდებლებზე 2005 წლიდან[1]). დებიტორული დავალიანება გაზრდილია 624,9 ათასი

[1] დამატებითი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად (გამჭვირვალეობის მიზნით) საანგარიშგებო წლის წინა პერიოდში წარმოქმნილი დაუფარავი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება შესაძლებელია აღრიცხულიყო ბალანსის ფორმა N1-ის საცნობარო მუხლში - ვადაგადაცილებული დავალიანების „09" ანგარიშზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" 71-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.

ლარით, აქედან 2,0 ათასი ლარი წარმოადგენს მოსამართლეთა 2009 წლის დეკემბერში მოსამართლეთა დაზღვევაზე წინასწარ გადარიცხულ თანხას, ხოლო 622,9 ათასი ლარი (UNDP) პროგრამით გადახდილ თანხას. 2010 წლის 1 იანვრისთვის დებიტორული დავალიანება შეადგენს 1723,3 ათას ლარს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროექტის შემსრულებელზე (UNDP) სასამართლო კონტროლს ვერ ახორციელებს. ამდენად, პროექტით გათვალისწინებული თანხების ხარჯვაზე ინფორმაციის უქონლობის გამო დებიტორული დავალიანება იზრდება (მომდინარეობს 01.01.2007 წლიდან.) და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება არაზუსტი და არარეალური ხდება.[2]

III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორები:

ენვერ დოლიძე _____ 02.06.2010 წ.

თენგიზ გურასაშვილი _____ 02.06.2010 წ.

---

[2] არ არის დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ" დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები.